

სათაური: ურთერთობები მოზარდთა შორის

მოკლე აღწერა/მიმოხილვა

მოზარდებს, რომლებიც იწყებენ რომანტიკულ/სექსუალურ ურთერთობებს, ხშირად აკლიათ უნარ-ჩვევები და ცოდნა პარტნიორებთან სასურველი და ხარისხიანი ურთერთობების დასამყარებლად. ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდებთან ვისაუბროთ ურთერთობების არა მხოლოდ უარყოფით შედეგებზე, არამედ დავებმართო მათ, რომ იცოდნენ ურთერთობების დადებითი მხარეებიც და მათი შედეგები. ახალგაზრდებს ხშირად უჭირთ ნორმალური ურთერთდამოკიდებულებების ამოცნობა. მოცემული აქტიობა ადაპტირებულია CESI -ს სახელმძღვანელოდან: უმჯობესია უსაფრთხოება ვიდრე სინანული: ახალგაზრდულ ურთერთობებში ძალადობის პრევენცია (Better Safe than Sorry: Preventing of teen-dating violence).

თემა: რომანტიკული ურთერთობები, ჯანსაღი ურთერთობები

დრო: 30-40 წთ.

ჯგუფის ზომა: 10-12 მონაწილე

მიზნები

მოსწავლეებს ეცოდინებათ იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ ჯანსაღ ურთერთობებს და ასევე იმის შესახებაც, თუ რა ხელს უწყობს ხელს ურთერთობების რღვევას.

საჭირო მასალები:

- ფლიფჩარტი
- მარკერები
- ფლიფჩარტზე დახატული ნავი

კომენტარები/რეკომენდაციები

მოცემული აქტიობა წარმოადგენს ჯანსაღი და არაჯანსაღი ურთერთობების შესახებ სასწავლო მოდულის შემადგენელ ნაწილს და ასევე უნდა მოიცავდეს იმ აქტიობებს, რომლის მიზანია აჩვენოს, თუ როგორ უკავშირდება ძალადობას სოციალური წარმოდგენები ქალისა და მამაკაცის როლების შესახებ. მოცემული მოდული წარმოადგენს ახალგაზრდულ ურთერთობებში ძალადობის მოდულის საფუძველს.

ნაბიჯ-ნაბიჯ

1. თხოვეთ მოსწავლეებს გაიხსენონ რომელიმე რომანტიკული ურთერთობა (არ არის აუცილებელი, რომ მათ ქონდეთ პარტნიორთან ურთერთობის გამოცდილება). ჩამოწერეთ ფლიფჩარტზე შემდეგი კითხვები: რა უწყობს ხელს წარმატებულ ურთერთობას ორ პიროვნებას შორის?.

სანამ ფასილიტატორი პასუხებს ფლიფჩარტზე ჩამოწერს მონაწილეებს აქვთ რამოდენიმე წუთი მოიფიქრონ პასუხები ბრენშტორმინგის მეთოდით. ფასილიტატორი ხატავს ნავს ფლიფჩარტზე რომანტიკული ურთიერთობების აღსანიშნავად.

2. ნავი აღნიშნავს ურთიერთობებს. გარკვეული პირობები შესაძლებლობას აძლევს ნავს რომ გაცურდეს (მაგ. ზღვა, საწვავი), ასევე ურთიერთობები საჭიროებს გარკვეულ წანამდღვრებს. თხოვეთ მოწაფეებს ჩამოთვალონ ის პირობები, რომელიც საჭიროა ურთიერთობისათვის (მაგ. პატივისცემა) და ჩაწერეთ ისინი ნავის გამოსახულებაში.

აღნიშნეთ, რომ არსებობს გარკვეული ფაქტორები, რომლებსაც შეუძლიათ ურთიერთობების დანგრევა, ისევე როგორც ნავი შეიძლება დაზიანდეს კლდესთან შეჯახებით. თხოვეთ ჯგუფს დაასახელონ ერთი რამ, რასაც შეუძლია ურთიერთობების დანგრევა (მაგ. ტყუილი) და დაწერეთ ეს ნავის ქვედა სივრცეში.

დაყავით ჯგუფი პატარა ჯგუფებად და თხოვეთ თითოეულ ჯგუფს იმუშაონ ერთი და იგივე ტიპის ურთიერთობაზე ანუ ახალგაზრდულ ურთიერთობაზე. მათი ამოცანაა გაიხსენონ 3 რომანტიკული ურთიერთობა, რომელშიც იმყოფებოდნენ მათი თანატოლები ან თვითონ. თითოეული ჯგუფი ხატავს ნავს და:

- ჩამოწერს 5 საკითხს, რაც ხელს უწყობს წარმატებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას (ნავის კორპუსში).
- 5 საკითხს, რაც ანგრევს ურთიერთობას (ნავის ქვემოთა სივრცეში/ზღვაში).

როდესაც ჯგუფი დაასრულებს სამუშაოს, ისინი წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს ჯგუფის წინაშე.

აქტიობა დაასრულეთ დისკუსიით. შესაძლო კითხვები დისკუსიისთვის:

- რა შენიშნეთ, როდესაც უყურებდით ფურცელზე უარყოფით და დადებით ჩამონათვალს?
- რომელი თვისების აღმოჩენაა ყველაზე მძიმე პარტნიორში მასთან ურთიერთობისას?
- გაიგეთ რაიმე ახალი ამ აქტიობიდან?

განხილვა და შეფასება

მონაწილეები გააცნობიერებენ იმ კომპონენტებს, რომლებიც ხელს უწყობენ წარმატებული და კამყოფილების მომგვრელი ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ასევე იმ კომპონენტებსაც, რომლებსაც შეუძლიათ ურთიერთობების დანგრევა.

რჩევები ფასილიტატორის

ეს მოდული არის იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც იმყოფებიან ან არ იმყოფებიან რომანტიკულ/სასიყვარულო ურთიერთობებში. ამ აქტიობის დაწყებამდე ტრენერმა უნდა აუხსნას ახალგაზრდებს განსახილველი საკითხები და ხაზი გაუსვას იმას, რომ ეს საკითხები ყველასათვის მნიშვნელოვანია - ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ჯერ არ იმყოფებიან ურთიერთობაში და იმათთვისაც, რომლებსაც შესაძლოა ქონდათ ურთიერთობები გარკვეული დროის განმავლობაში.